პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 80-ე წელი

ოთხშაბათი, 7 სექტემბერი, 1949 წ. № 178 (8481). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

წარმატებით დავამთავროთ მესამე კვარტალი—მოწინავე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა—საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ (1-ლი და მე-2 გვერდი).

ერთი წერილისა და მისი შემოწმების შედეგების შესახებ (მე-2 გვერდი).

ვიბრძოლოთ მეტი და მაღალხარისხოვანი-მარგანეცის ამოღებისათვის! (მე-3 გვერდი).

ახალგაზრდობის მეორე მსოფლიო კონგრესი—საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელის ნ. ა. მიხაილოვის გამოსვლა (მე-4 გვერდი).

წარმატებით დავამთავროთ მესამე კვარტალი

მეოთხე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა ახალ-ახალ წარმატებას აღწევს. ამ წარმატებებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ ჯერ კიდევ შარშან 29,5 პროცენტით გადააჭარბა საერთო პროდუქციის გამოშვების ომამდელ დონეს და ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის გათვალისწინებული დონის 86,9 პროცენტს მიაღწია. ახალი შრომითი აღმავლობით დაიწყო მიმდინარე სამეურნეო წელი. ჩვენმა მრეწველობამ საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა როგორც პირველი, ისე მეორე კვარტალის საწარმოო გეგმები, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით საგრძნობლად გაადიდა პროდუქციის გამოშვება, გაუმჯობესა მისი ხარისხი, შეამცირა თვითღირებულება და საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებით სახელმწიფოს გაუთავისუფლა მრავალი მილიონი მანეთი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მრეწველობის ცალკეული დარგებისა და მსხვილ საწარმოთა კოლექტივების მაღალნაყოფიერი მუშაობა. ჟიათურის მარგანეცის ტრესტმა, რომელმაც ჯერ კიდევ შარშან 45 პროცენტით მეტი პროდუქცია გამოუშვა 1945 წელთან შედარებით, მიმდინარე წლის რვა თვის გეგმა ვადამდე ერთი კვირით ადრე — 23 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულა. საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის შახტებს შორის რამდენიმე თვეა პირველობას მტკიცედ ინარჩუნებს ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი. მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს კასპელმა მეცემენტეებმა და თბილისელმა დაზგათმშენებლებმა.

ცალკე უნდა აღინიშნოს მსუბუქი მრეწველობის ისეთი მსხვილი საწარმოს მაღალნაყოფიერი მუშაობა, როგორიც არის თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკა, რომლის კოლექტივი თვიდან-თვემდე დიდი გადაჭარბებით ასრულებს საგეგმო დავალებებს დადგენილი ასორტიმენტისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზუსტად დაცვით. ეს ფაბრიკა ერთ-ერთი პიველი გამოეხმაურა კრასნოხოლმელი და კუპავინელი ფეიქრების თაოსნობას პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და ნედლეულის დაზოგვისათვის მებრძოლი ბრიგადების ჩამოყალიბების შესახებ. მარტო სამეურნეო წლის პირველ ნახევარში მაუდ-კამოლის ფაბრიკამ დანაზოგი ნედლეულიდან 100 ათასამდე მეტრი ქსოვილი გამოუშვა.

რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა წყებაშია თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივი, რომელიც მტკიცედ ინარჩუნებს პირველობას საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. მეორე კვარტალში მეტრიკოტაჟეებმა 109 პროცენტით შეასრულეს სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დავალება, წინა წელთან შედარებით 8,4 პროცენტით შეამცირეს თვითღირებულება, გასწიეს 536 ათასი მანეთის ეკონომია და დაზოგეს 17,4 ტონა ნედლეული. ეს სახელოვანი კოლექტივი მესამე კვარტალშიც განაგრძობს მაღალნაყოფიერ მუშაობას და ახალ წარმატებებს აღწევს.

მაღალნაყოფიერი შრომით გამოირჩევა ახალი ხუთწლედის პირმშო—ქუთაისის სამთო მანქანათმშენებლობის ქარხანა, რომლის კოლექტივი სამთო მექანიზმებით ამარაგებს ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მრეწველობას. ამ ქარხნის კოლექტივმა მეშახტის დღის—28 აგვისტოსათვის გაანაღდა საქარხნო ხუთწლედი.

ზემოაღნიშნული და ათობით სხვა მოწინავე საწარმოს კოლექტივი ამ გამარჯვებებს აღწევს სამეურნეო ხელმძღვანელობის გაუმჯობესებით, სამეურნეო ხელმძღვანელობისაღმი პარტიული კონტროლის უფლების უნარიანი გამოყენებით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებით, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ყოველდღიური ზრუნვით.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ისეთ მდგომარეობას, რომ ყველა საწარმო გეგმას ასრულებდეს ყოველთვიურად, ყოველ კვარტალში, ზუსტად იცავდეს პროდუქციის ხარისხს, მის ასორტიმენტს, თვითღირებულებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა ამას წინათ განიხილა დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგები. პლენუმმა აღნიშნა, რომ წლის პირველ ნახევარში ზოგიერთი საწარმო ჩამორჩა გეგმების შესრულებაში, ვერ ასრულებს დავალებას ხარისხისა და ასორტიმენტის მიხედვით, უშვებს წუნდებულ პროდუქციას, აძვირებს თვითღირებულებას და ამ ნიადაგზე ასეულ ათასობით მანეთ ზარალს აყენებს სახელმწიფოს. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის ავჭალის ფოლად-თუჯის სამსხმელო და თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნები, აბრეშუმსაქსოვი, ბერიას სახელობის ფეხსაცმლისა და თამბაქოს ფაბრიკები.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ პირობა მისცა ხალხთა ბელადს დიდ სტალინს, რომ რესპუბლიკის მრეწველობა ომისშემდგომ ხუთწლედს მიმდინარე წელს შეასრულებს. ბელადისათვის მიცემული პირობის გასანაღდებლად მესამე კვარტალს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მესამე კვარტალის საწარმოო დავალებანი გადაჭარბებით შეასრულოს თვითეულმა საწარმომ, თვითეულმა შახტმა და მაღარომ. მესამე კვარტალის დამთავრებამდე ერთ თვეზე ნაკლები დრო დარჩა. დაწინაურებულმა საწარმოებმა ეს დრო მაქსიმალური ნაყოფიერებით უნდა გამოიყენონ, მიაღწიონ მეტ წარმატებას, მოიპოვონ ახალი გამარჯვებები საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ჩამორჩენილ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, პროფესიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მთელი ძალები უნდა დაარაზმონ საწარმოო დავალებათა აუცილებლად შესრულებისათვის. ამასთან ერთად, საჭიროა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ საწარმოო დავალება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შესრულებულად ჩითვალოს, თუ დაცულია ასორტიმენტი, მაღალია გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავი. ჩვენი საშობლოს მშრომელები ამ დიადი დღესასწაულის ღირსეული შეხვედრისათვის ყოველწლიურად აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, გამარჯვების პატაკებით გამოდიან საყოველთაო-სახალხო სადღესასწაულო დემონსტრაციებზე. ასევე ახლაც. საწარმოებში ჩაღდება შეჯიბრება დიდი ოქტომბრის წლისთავისათვის წლიური გეგმების შესასრულებლად, აოწინავე ბრიგადები და სტახანოველები დგებიან სტახანოვურ ვახტზე. პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ საწარმოთა კოლექტივების ამ ახალ შრომის აღმავლობას, თვითეულ საწარმოში ფართოდ გაიჩაღონ საოქტომბრო შეჯიბრება მორიგ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

წარმატებით დავამთავროთ მესამე კვარტალი რესპუბლიკის მრეწველობის თვითეულ საწარმოში, სასახელოდ შევასრულოთ საქართველოს ბოლშევიკების მიერ დიდი ბელადისათვის მიცემული პირობა — უზრუნველვყოთ ახალი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულება!

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 25 მაისის ბრძანებულების შესაბამისად, **ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა** და **ციტრუსოვანთა ნაყოფის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, 1948 წელს მატყლების მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმები, **დაჯილდოებულ იქნან:**

ლენინის ორდენით

35. **ჯიქია** თამარ შალვას ასული — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.538 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

36. **ჯინჭარაძე** ფადმე ოსმანის ასული — ქობულეთის რაიონის მიხაილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.525 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

37. **ჯუმუთია** პლატონ ხვახვას-ძე— გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.634 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

38. **დოლიძე** გრიგოლ შალვას-ძე — მახარაძის რაიონის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, რომელმაც 51,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.013,6 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

39. **დოლიძე** თეო სიმონის ასული — მახარაძის რაიონის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.254 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

40. **დოლიძე** სონია ილიას ასული — ჩოხატაურის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.019 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

41. **დონაძე** ლიდა ვასილის ასული— მახარაძის რაიონის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.272,2 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

42. **ელენიდი** ალექსი კუზმას-ძე — ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.017 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

43. **ჟვანია** მარიამ ეკუპის ასული — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.451 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

44. **ზოიძე** საამე ისმაილის ასული — ქობულეთის რაიონის ხალის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.650 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

45. **ქადარია** მინადორა პართენის ასული — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.249 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

46. **ქარჩავა** პლატონ სოფრომის-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ძებრძოლის“ მერგოლური, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.406 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

47. **ქვაჩახია** ლუკა კონსტანტინეს-ძე — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 7.087, კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

48. **კვაჭაძე** თეოფილე გიორგის-ძე— მახარაძის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 34 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.091 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

49. **ყვირჩილაძე** ალექსანდრა ისაკის ასული — მახარაძის რაიონის გურიანთის სასოფლო საბჭოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.334 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

50. **კეჭაყმაძე** ელენე გიორგის ასული — მახარაძის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.275 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

51. **ქინქლაძე** ლავრო ვასილის-ძე — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.115 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

52. **კირჩხელი** ნაზიკო დურსუნის ასული — ქობულეთის რაიონის ციხისძირის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.102 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

53. **კომახიძე** ჰუსეინ მემედის-ძე — ბათუმის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 3.000 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 251 ლიმონი.

54. **კონცელიძე** რიფათ ახმედის-ძე — ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6,6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 6.092 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

55. **კორძაია** ფერუზა სულეიმანის ასული — ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „კულტურის“ წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.031 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

56. **კოსტავა** ვლადიმერ ეპიფანეს-ძე — მახარაძის რაიონის კონჭკათის სასოფლო საბჭოს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 51,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.347,9 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

57. **კუნჭულია** ნიკოლოზ იაგორის-ძე — ლანჩხუთის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.007 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

58. **ლაცუზბაია** ოლღა სტეფანეს ასული — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.471 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

59. **ლეფოფავა** ხუხა გრიგოლის ასული — ზუგდიდის რაიონის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.229 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

60. **მალიჩავა** ალექსანდრა ივანეს ასული — გალის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.924 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

61. **მამალაძე** გრიგოლ ილარიონის-ძე — პარტიის ჩოხატაურის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო ძოლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 42,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

62. **მამინაიშვილი** გული გემბერის ასული — ქობულეთის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

63. **მგელაძე** ლიდა მელქისედეკის ასული — მახარაძის რაიონის მელქედურის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.104 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

64. **მეგრელიშვილი** გრიგოლ მიხეილის-ძე — მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, რომელმაც 36,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.066 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

65. **მემიშიი** იზეთ ისმაილის-ძე — ბათუმის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 1.500 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 301 ლიმონი.

66. **მემიშიი** მუჰამედ ალის-ძე — ბათუმის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 3.000 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 275 ფორთოხალი.

67. **მერიციდი** ქრისტო ირაკლის-ძე — ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.905 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

68. **მუავია** ნიკიფორე კონსტანტინეს-ძე — მახარაძის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, რომელმაც 34 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.091 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

69. **მიმინაშვილი** ელენე კალენიკეს ასული — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.154 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

70. **მიმინაშვილი** ფილიპე სამსონის-ძე — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.679 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

71. **მხეიძე** მერიემ მამუდის ასული— ბათუმის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.599 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

72. **ნაკაშიძე** ფატი ომერის ასული— ქობულეთის რაიონის ხალის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.531 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

73. **მეანდი** ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე — ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 400 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 1.171 მანდარინი.

74. **ორაგველიძე** მიხეილ ფილიპეს-ძე — მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 36,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.065 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

75. **ოქროპირიძე** მერიემ ჰასანის ასული — ქობულეთის რაიონის ხუცუბნის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.158 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

76. **ფალავა** აიშე იუსუფის ასული— ბათუმის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.225 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

77. **ფაჟავა** ლიზა აბრამის ასული — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.261 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

78. **პარსციდი** მაგდა პერიკლეს ასული — ქობულეთის რაიონის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.152 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

79. **ფარულავა** იროდი კონსტანტინეს-ძე — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, რომელმაც 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.087 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

80. **პანიდი** პანაიოდ ნიკოლოზის-ძე — ბათუმის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 3.003 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 252 ფორთოხალი.

81. **პოლიტოვა** პარფენა გიორგის ასული — ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.990 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“ № 177.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-2 ტომის გამოცემა ესტონურ ენაზე

ტალინი, (საკადესი). ესტონეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობა „პოლიტიკურმა ლიტერატურამ“ გამოუშვა ესტონურ ენაზე თარგმნილი ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-2 ტომი. ტომი დასაბეჭდად მოამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ესტონეთის ფილიალმა.

დღეს თბილისში შედგება **საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის პლენუმი** აქტივთან ერთად.

დღის წესრიგშია საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის მოხსენება **„ღონისძიებანი საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობის გასაუმჯობესებლად“.**

სხდომა დაიწყება ხუთშაბათს 8 საათზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8).

სოციალისტური შრომის გმირები

ზ. მ. ჯაგუა

მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 8.252 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ლ. ს. ბიგვავა

სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „ოდაზის“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 16,7 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოს მოყვანისათვის.

ტ. ქ. მაჭავარიანი

ორჯონიკიძის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,7 პროცენტის გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის.

ვ. ა. გოგრდელაძე

ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარი აგრონომი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავის მუშაობით მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 19 პროცენტის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

(გაგრძელება)

82. **სალუქვაძე** ელისე ყაისარის-ძე — ლანჩხუთის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.016 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

83. **სამსონია** ილია დიომიდეს-ძე — მახარაძის რაიონის კოლმეურნეობა „ახალგაზრდა კომუნისტის“ პარტიული ორგანიზაციის მდივანი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 5.085 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

84. **სიდეროპულო** თევდორე ზაქარიას-ძე — ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 400 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 1.095 მანდარინი.

85. **სიმბულიდი** ალკიციად ივანეს-ძე — ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 12,4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.181 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

86. **სოსელია** მარიამ გუჯუს ასული — ზუგდიდის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.331 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

87. **სტეფანიდი** არისტო ზაქარიას-ძე — ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 400 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 1.055 მანდარინი.

88. **თავაძე** კასიანე პაველეს-ძე — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.292 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

89. **თედორაძე** აიმე მევლუდის ასული — ქობულეთის რაიონის ციხისძირის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.003 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

90. **თხილაიშვილი** ალექსანდრე დურსუნის-ძე — პარტიის ქობულეთის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლის მოსავლის გეგმის 19,5 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

91. **ხალვაში** სურიე ჰასანის ასული — ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.866 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

92. **ხომერიკი** კირილე ბათლომეს-ძე — მახარაძის რაიონის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.333 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

93. **ხოფერია** გერმანე კონსტანტინეს-ძე — ლანჩხუთის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.066,6 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

94. **ხურციძე** იპოლიტე კონსტანტინეს-ძე — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 17 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 6.183 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

95. **ცერცვაძე** ლევან ჯარისპანის-ძე — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.768 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

96. **წინარიძე** სებილა ოსმანის ასული — ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.769 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

97. **წირღვავა** მარიამ გედლაჩის ასული — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.766 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

98. **ჩავლეიშვილი** ვასილ გერონტისძე — მახარაძის რაიონის ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.880 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

99. **ჩანჩიბაძე** ვერა სამსონის ასული — მახარაძის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.861 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

100. **ჩაჩუა** შურა თეიმურაზის ასული — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.766 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

101. **ჭეჟია** რაისა სამსონის ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.973 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

102. **ჭითანავა** გუგუშა ისიდორეს ასული — ზუგდიდის რაიონის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.313 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

103. **ჭკადუა** ბაბუცა ძაკუს ასული — ზუგდიდის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,6 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 6.770 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

104. **ჭკადუა** აგრაფინა სპირიდონის ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.077 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

105. **ჭკადუა** ვენერა ფარნაოზის ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.017 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

106. **ჭკადუა** შურა დიანოსის ასული — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.994 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

107. **ჭურღულია** შალვა ძუკუს-ძე — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.057 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

108. **ჭურღულია** იროდი გიორგის-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის“ თავმჯდომარე, რომელმაც 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.242 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

109. **ჩხაიძე** კევსერ მამუდის ასული — ბათუმის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.265 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

110. **ჩხაპელია** ვალოდია გვაჯის-ძე — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.362,6 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

111. **შამათავა** ბუცა გუგუს ასული — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.769 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

112. **შამათავა** ლილუა ნიკოლოზის ასული — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.750 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

113. **შამათავა** ნიკოლოზ პეტრეს-ძე — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.312 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

114. **შამათავა** ცაბალა ბადრას ასული — გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.740 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

115. **შევარდნაძე** ბაბორა იოსების ასული — მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 5.144 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

116. **შეროზია** ვალერიან ევგენის-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის“ მერგოლური, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.308 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

117. **შეროზია** კალისტრატე მიხეილის-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის“ თავმჯდომარე, რომელმაც 45 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.125 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

118. **ემირიძე** ემინე დურსუნის ასული — ქობულეთის რაიონის ხუცუბნის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.847 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **აბრალავა** არსენ იოსების-ძე — ხობის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 410 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 907 მანდარინი.

2. **აბუსერიძე** იოსებ სიმონის-ძე — ჩოხატაურის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.662 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

3. **აბუსერიძე** გული მამედის ასული — ქობულეთის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც 0,5 ჰექტარ ფართობზე მოიყვანა 4.333 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

4. **აკუჯბა** ჰასან ქიაზიმის-ძე — ბათუმის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის გეგმის 15,2 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

5. **ამირიდი** ვასილ სოკრატის-ძე — ქობულეთის რაიონის დაგვის სასოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.847 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

(გაგრძელება იქნება)

სოციალისტური შრომის გმირები

გ. ო. ჯინჭარაძე
ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 7.835 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ბ. ბ. კვანტრიშვილი
ზესტაფონის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება ძიენიჭა შამპანური ჯიშების ვენახის 3,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 75,4 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ვ. დ. ლომაია
ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 2,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 10.102 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ჩვენ გვწერენ

დავაჩქაროთ ჭრამვაის ხაზის გაყვანა ავჭალამდე

თბილისის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოო რაიონი — ლენინის რაიონი ავჭალის მიმართულებით იზრდება. განსაკუთრებით მრავალი საწარმო აშენდა ამ რაიონის იმ ნაწილში, რომელიც ესაზღვრება ავჭალას (ღრმაღელე). აქ უკვე მუშაობს მთელი რიგი საწარმოები, როგორიცაა ჩაის საწონი ფაბრიკა, შამპანური ღვინის კომბინატი, ბამბის ფაბრიკა და სხვ.

ღრმაღელის რაიონში საწარმოთა სწრაფი ზრდის შედეგად ქარხნების მახლობლად აშენდა ათობით საცხოვრებელი სახლი, რომელთა მცხოვრებნი საქალაქო ტრანსპორტის უქონლობის გამო მოწყვეტილი არიან თბილისს. ამასთანავე უმთავრესი ნაწილი ზემოთ დასახელებულ საწარმოთა მუშებისა ცხოვრობს თბილისში და მათი სამუშაო ადგილზე გადაყვანის საკითხი დღემდე არ არის მოგვარებული. არსებობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე თბილისის საბჭოს აღმასკომის დადგენილებანი ავჭალამდე ტრამვაის ხაზის გაყვანის შესახებ, მაგრამ დღემდე ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ამ დადგენილებათა განხორციელებისათვის არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს.

საჭიროა დაჩქარდეს ქალაქის ამ მასობრივი სახის ტრანსპორტის — ტრამვაის გაყვანა ავჭალამდე, რომ ამით გადვილდეს მუშათა გადაყვანა და კავშირი ქალაქთან ზემოთ ჩამოთვლილი საწარმოებისათვის.

ინჟინერი ა. მასხარაშვილი
ლოკომოტივსარემონტო ქარხნის ამწყობი საამქროს უფროსი

რა აბრკოლებს სასოფლო ელექტროსადგურების მშენებლობას

ზემო სვანეთის რაიონში ხე-ტყის, მარმარილოს, ბარიტისა და სხვა წიაღისეულის მზარდი წარმოება სულ უფრო მეტი რაოდენობით მოითხოვს ელექტროენერგიას. ამასთანავე რაიონის სწრაფი და ზამთარ-ზაფხულ უხვწყლიანი მდინარეები მეტად ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს ჰქმნიან ელსადგურების მშენებლობისათვის.

წარმატებით მუშაობს მესტიის ჰიდროელსადგური. ძირითადად დამთავრებულია და მალე ამუშავდება ხაიშისა და ჭუბერის ელსადგურები. მიმდინარეობს კალასა და ბეჩოს ელსადგურების მშენებლობა, რომლებიც 6 სასოფლო საბჭოსა და 49 სოფელს მიაწოდებენ ელექტროენერგიას. 1951 წლისათვის გათვალისწინებულია რაიონის მთლიანი ელექტროფიკაცია.

მაგრამ ტრესტ „საქსოფლელექტროს“ ცხაკაიას სარაიონთაშორისო კანტორა (მმართველი ბ. სანაია), რომელსაც 11 რაიონთან ერთად ზემო სვანეთის ელსადგურების მშენებლობის ხელმძღვანელობაც აქვს დავალებული, სათანადო ზომებს არ იღებს საჭირო მასალებით მშენებლობათა დროულად მომარაგებისათვის. ეს იწვევს მშენებლობის გაჭიანურებას. ასე, მაგალითად, კალასა და ბეჩოში ელსადგურები წელს უნდა ამუშავდეს. ამისათვის საჭიროა მშენებლობის ადგილზე 120 ტონა კირის, ტურბინებისა და სხვა მოწყობილობის მიზიდვა. სინამდვილეში დღემდე მიზიდულია მხოლოდ 10 ტონა კირი, ხოლო რამდენიმე ათეულ ათას მანეთად ღირებული ტურბინები და სხვა მოწყობილობა რკინიგზის ზუგდიდის სადგურში ნახევარი წელია აწყვია უპატრონოდ და ზიანდება.

ტრესტ „საქსოფლელექტროს“ ცხაკაიას კანტორამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ზემო სვანეთში ელსადგურების მშენებლობის სეზონი მოკლეა. ამიტომ საშენი მასალებისა და მოწყობილობის დროულად გადმოზიდვას აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ვ. მესხია

გ. ნაკაიძემ ერთ დღეში 8.508 ძირი ციტრუსი დაამყნო

მახარაძე. (ტელეგრაფით). ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ციტრუსების ცნობილმა მყნობელმა გენო ნაკაიძემ 5 სექტემბერს ციტრუსების მყნობის ახალი რეკორდი დაამყარა. ერთი დღის განმავლობაში მან დაამყნო 8.508 ძირი ციტრუსი, რითაც დიდად გაუსწრო სხვა ცნობილ მყნობელებს.

გენო ნაკაიძემ სეზონში უკვე დაამყნო 50.000 ძირი ციტრუსი. კომისიის დასკვნით მყნობა ჩატარებულია მაღალი ხარისხით.

დახმარება მრავალშვილიან და მარჯოხელა დედებს

ასპინძა. (საკ. კორ.). რაიონის საფინანსო განყოფილებამ მიმდინარე წლის შვიდ თვეში მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს მისცა 188.800 მანეთი. 5 დედას მინიჭებული აქვს „გმირი დედის“ საპატიო წოდება, ხოლო 390 დედა დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ერთი წარჩინებული ... შედეგების შესახებ

ჩვენი გაზეთის 26 ივლისის ნომერში ქარელის რაიონიდან დაიბეჭდა საკუთარი კორესპონდენტის ამხ. ვ. გურგენიძის წერილი სათაურით: „აღმოვფხვრათ უყაირათობა მოსავლის აღებაში“. როგორც შემდგომმა შემოწმებამ გვიჩვენა, კორესპონდენციაში სამართლიანად იყო გაკრიტიკებული მთელი რიგი კოლმეურნეობების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა მოსავლის აღების, ლეწვისა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების საქმეში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ქარელის რაიონული კომიტეტი ვალდებული იყო კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტებიდან სათანადო დასკვნები გაეკეთებინა, გაეძლიერებინა ხელმძღვანელობა და დახმარება ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისადმი. მაგრამ აქ, ნაცვლად იმისა, რომ დაერაზმათ სოფლის მშრომელები პურეულის აღებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, კრიტიკა იწყინეს. ამას შედეგად მოჰყვა პარტიაკომის მდივნის ამხ. ი. რთველიაშვილის წერილი რედაქციისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ გაზეთ „კომუნისტის“ 26 ივლისის ნომერში დაბეჭდილი კორესპონდენცია არარეალურ ფაქტებზეა აგებული.

რედაქციამ ადგილზე შეამოწმა წერილში მოყვანილი ფაქტები. გამოირკვა შემდეგი: კორესპონდენციაში მოსავლის აღებაში მოწინავეთა შორის დასახელებული იყვნენ კომბაინერები შ. გოჩაშვილი და ს. სულეიმანაშვილი. რაიკომი კი იტყობინებოდა, რომ ეს არ არის მართალი. ნამდვილად კომბაინერმა ს. სულეიმანიშვილმა 5 აგვისტომდე, 11 სამუშაო დღეში მოსავალი აიღო 92 ჰექტარზე. რაიონში ბევრს არა აქვს ამაზე უკეთესი მაჩვენებელი. კომბაინერმა შ. გოჩაშვილმა პურეულის მოსავლის აღების პირველ დღეებში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა მოსავალი უდანაკარგოდ აიღო 13 ჰექტარზე, 16 ივლისს—9 ჰექტარზე, 17 ივლისს — 11 ჰექტარზე. გაუგებარია, რათ დასჭირდა პარტიის რაიონულ კომიტეტს ამ კომბაინერების მიკუთვნება ჩამორჩენილთა რიგებისადვის.

კორესპონდენციაში სამართლიანად გაკრიტიკებულია სოფელ ბებნისის კოლმეურნეობა. ეს კრიტიკა რაიკომმა არ მიიღო. მისი აზრით, კოლმეურნეობა მოწინავეა. ფაქტიურად ეს კოლმეურნეობა ვერ ასრულებს მოსავლიანობის დაწესებულ გეგმებს. აქ კოლმეურნეებს შრომადღეებს ასე ურიცხავენ: თუ თავთავი აკრეფილ იქნა 2 ჰექტარზე, უწერენ ერთ შრომადღეს. არსებული წესით შრომადღეები უნდა დაიწეროს იმისდა მიხედვით, თუ რამდენი კილოგრამი მარცვალია მიღებული აკრეფილი თავთავიდან. კოლმეურნეთა შრომადღეების აღრიცხვის უწყისში, სადაც დარიცხვა ყოველდღე უნდა ხდებოდეს, 31 ივლისს შემდეგ კოლმეურნეებისათვის შრომადღეები არ დაურიცხავთ. არის აგრეთვე შრომის გათანაბრება. ეს კი აქტიურად მომუშავე კოლმეურნეებს მუშაობის სტიმულს უმცირებს. აღრიცხვის მუშაკი პ. მეტრეველი პარტიული ორგანიზაციის მდივანია. იგი პარტორგანიზაციაშიც არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, არა აქვს სამუშაო გეგმა, ორთვეზე მეტია პარტიული კრება არ მოუწვევია და სხვ. ყველა ეს ნაკლი რაიონის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის დღემდე რატომღაც შეუმჩნეველი რჩება.

ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ პურეულის აღება დაიწყო 16 ივლისს. 25 ივლისამდე მოსავალი ხელით აღებული იყო 75 ჰექტარზე, ხოლო ლეწვა დაწყებული არ ჰქონდათ. ამის გამო დააგვიანეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების დაწყება. კორესპონდენციაში ესეც იყო აღნიშნული, მაგრამ ეს სამართლიანი კრიტიკაც არ მიიღეს.

„ზაგოტზერნოს“ ქარელის მიმღებ პუნქტს სოფელ ფცის კოლმეურნეობა 24 ივლისიდან სისტემატიურად აბარებდა მარცვალს. მაგრამ რაიონში ეს ფაქტიც უარყვეს.

საკუთარმა კორესპონდენტმა ვ. გურგენიძემ თავის კორესპონდენციაში სწორი ანალიზი გაუკეთა რაიონში მოსავლის აღებასა და პურის დამზადებაში არსებულ მდგომარეობას, მაგრამ მან ამასთანავე დაუშვა ზოგიერთი არასიზუსტე. სახელდობრ, იგი წერდა, რომ სოფლებმა ქვემო ხვედურეთმა და აბისმა დაიწყეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარებაო. სინამდვილეში კორესპონდენციის გამოქვეყნებამდე ამ კოლმეურნეობებს პურის ჩაბარება დაწყებული არ ჰქონდათ. ჩვენმა კორესპონდენტმა ადგილზე უშუალოდ შეამოწმა სოფელ მოხისის კოლმეურნეობაში პურის ყანების მდგომარეობა და დარწმუნდა, რომ იგი უკვე შემოსული იყო, მაგრამ აღების დაწყებას აგვიანებდნენ. ამასვე წერდა რაიონული გაზეთიც.

აქ საინტერესო ის არის, რომ პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანს ამხ. ი. რთველიაშვილს რაიონულ გაზეთში დაბეჭდილ მასალაზე, რომელიც ჯერ კიდევ ხუთი დღით ადრე გამოქვეყნდა, კრინტიც არ დაუძრავს, ხოლო როცა ამის მსგავსი მასალა გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა, ერთი აურზაური ატეხა, სწორი არ არისო.

როგორც ჩანს, ქარელელი ამხანაგები კრიტიკისადმი არასწორ, არაბოლშევიკურ დამოკიდებულებას იჩენენ. მათ ავიწყდებათ, რომ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა საბჭოთა საზოგადოების მამოძრავებელი ძალაა, მისი წინსვლისა და განვითარების კანონია. ვისაც ბოლშევიკური კრიტიკისა ეშინია, მას არ შეუძლია დაინახოს თავისი მუშაობის ნაკლოვანებანი, დასაზოს და განახორციელოს მათი გამოსწორების ღონისძიებანი და, ამრიგად, წინ წასწიოს ჩვენი საერთო საქმე. ეს კარგად უნდა გაითვალისწინოს პარტიის ქარელის რაიკომმა თავის შემდგომ მუშაობაში.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„სუსტი ხელმძღვანელობის შედეგი“

„კომუნისტის“ 21 აგვისტოს ნომერში ამ სათაურით მოთავსებულ კორესპონდენციაში, გაკრიტიკებული იყო ახალქალაქის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის მუშაობა მოსავლის აღებისა და პურის დამზადების საქმეში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ახალქალაქის რაიკომის მდივანი ამხ. გ. მიხანაშვილი გვატყობინებს: ბიურომ სწორად ცნო წერილში მოყვანილი ფაქტები, რომ სოფელ აპნიის ორჯონიკიძის, გოგაშენის მალინოვსკის, ვაჩიანის ორჯონიკიძის, ბარალეთის როკოსოვსკის სახელობის კოლმეურნეობები მოუმზადებელი შეხვდნენ მოსავლის აღებას, რის გამო პირველ დღეებში პურეულის მკის სამუშაოები მიმდინარეობდა არაორგანიზებულად და უხარისხოდ. ბიურომ განიხილა გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მოსავლის უდანაკარგოდ აღების, ლეწვისა და სახელმწიფოსათვის პურის დამზადების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

რაიკომის ბიურომ მოსავლის აღების სამუშაოთა სუსტი ხელმძღვანელობის გამო რჩევა მისცა სოფელ აპნიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას სამუშაოდან მოხსნას კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ლ. მოსიძე, ხოლო საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. შ. კოპაძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით.

მოსავლის აღების, ლეწვისა და პურის დამზადების სამუშაოთა სუსტი ხელმძღვანელობისათვის სამუშაოდან მოიხსნა ვაჩიანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ელბაქიანი; პურეულის დანაკარგის დაშვებისათვის ვაჩიანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს ამხ. ვ. ჩატაჩიანს გამოეცხადა საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით და რჩევა მიეცა კოლმეურნეობის გამგეობას მოხსნას ის ბრიგადირობიდან.

მოსავლის აღების სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციისათვის მიეთითა აგრეთვე ზოგიერთ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს.

რაიკომის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ზემოაღნიშნულ კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პურეულის აღების სამუშაოები, დამთავრებულია მკა, ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ლეწვა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება.

წყალთა მეურნეობის ძირითად სამუშაოთა შესრულება

(საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს 31 აგვისტოს ცნობებით)

1949 წლის მეორე ნახევრის გეგმის შესრულება პროცენტობით

რაიონების დასახელება	მიწის სამუშაოები		ბეტონის და ქვის სამუშაოები		ინერტულ მასალათა დამზადება	
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	18.0	81,3	1,2	3,8	3,8	7,5
სიღნაღი	43,7	145,7	39.3	22,5	4,7	14,0
გურჯაანი	82.4	156,5	7,3	8,5	8,6	32,0
თელავი	48.6	69,4	0	0	0	0
წითელწყარო	40,2	50,6	95,0	190.0	—	—
გორი	18,5	92,0	23,7	53,7	32,0	69,0
ქარელი	40,7	51,7	10,7	29,2	23,3	37,8
ქუთაისი	100,0	—	100,0	—	100,0	—
ზესტაფონი	88,3	52,0	52,0	8,0	45,7	0
მაიაკოვსკი	100,0	—	100,0	—	100.0	—
კასპი	6,2	21,6	0	0	3,54	6,54
დუშეთი	—	—	15,7	36.7	—	—
გაგრა	27,6	26,2	—	—	—	—
ახალციხე	106,8	103,5	—	—	0	0
ადიგენი	6,2	12,4.	—	—	0	0
ბოლნისი	7,5	50,0	0	0	—	—
ყვარელი	62,2	108,4	45,1	106,8	100,0	223,2

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცნობები 20 აგვისტოსია.

ვიბრძოლოთ მეჯი და მაღალხარისხოვანი მარგანეცის ამოღებისათვის!

ვიბრძვით ახალი ტექნიკის დანერგვისათვის

ამხანაგი სტალინი მიგვითითებს: „საჭიროა დაუყოვნებლივ გავადიდოთ შრომის ყველაზე უფრო მძიმე პროცესების მექანიზაცია და ყოველნაირად გავშალოთ ეს საქმე (ხე-ტყის მრეწველობა, სამშენებლო საქმე, ქვანახშირის მრეწველობა, დატვირთვა-გადმოტვირთვა, ტრანსპორტი, შავი მეტალურგია და სხვ.)...“

ბელადის ეს მითითება ჭიათურელმა მაღაროელებმა თავიანთი მუშაობის საბრძოლო ამოცანად დაისახეს და ამ მხრივ განსაკუთრებით წელს მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვეს. მარგანეცის მონგრევა და მისი ტრანსპორტირება ჭიათურაში ამჟამად მთლიანად მექანიზებულია. ჩამოვრჩით მხოლოდ ისეთი შრომატევადი პროცესის მექანიზაციაში, როგორიცაა მონგრეული მადნის დატვირთვა. ამ სამუშაოს ჯერ კიდევ უდიდესი ნაწილი ხელით სრულდება. ეს აფერხებს წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

1949 წლის განვლილი 8 თვის შედეგები ცხადად გვიჩვენებენ, რომ სამუშაო პროცესთა მექანიზაცია წარმოადგენს იმ ბერკეტს, რომელიც დიდად უადვილებს მუშებს საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

ამჟამად მადნის მექანიზებული ტვირთვა მხოლოდ ლენინისა და ნაწილობრივ სტალინის სახელობის მაღაროებში ხდება. დანარჩენ მაღაროებში დატვირთვის მექანიზაცია დანერგილი არ არის. რატომ? იმიტომ, რომ მანქანები და მექანიზმები, რომლებიც ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროებში გვაქვს, სხვა მაღაროებში სამთო-გეოლოგიური ხასიათის თავისებურებათა გამო, შეუძლებელია გამოვიყენოთ, ხოლო ამ მაღაროებში გამოსაყენებლად შესაფერისი დამტვირთავი მექანიზმების შეძენა ვერ შევძელით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკომპრესორო დანადგარების სიმძლავრე სტალინის სახელობის მაღაროსათვის საკმარისი არ არის, რის გამოც წინათ დანერგილი და ათვისებული დამტვირთავი მანქანები სათანადო ეფექტს ვერ გვაძლევენ. ყოველივე ეს თვითონ ჩვენს, ე. ი. მარგანეცის ტრესტისა და მაღაროთა ხელმძღვანელობის არასაკმაოდ გამართულ მუშაობას მოწმობს. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა უმოკლეს ხანში უზრუნველყოთ სტალინის სახელობის მაღაროში საკომპრესორო დანადგართა სიმძლავრის გადიდება, ხოლო ბერიას, კაგანოვიჩისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროებში მარგანეცის დამტვირთავი ახალი მექანიზმების დანერგვა.

მარგანეცის მრეწველობის შემდგომი გადიდებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მადნის გაუხვების ტექნოლოგიის გაუმჯობესებას და ამ დარგში ახალი ტექნიკის დანერგვას. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ მარგანეცის საბადოს ახალი ადგილებიდან მიღებული ნედლეული, წარსულ წლებში ამოღებულ ნედლეულთან შედარებით უფრო ღარიბია ლითონის შემცველობის მხრივ.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ტექნიკური განყოფილებისა და მადნის საცდელი სადგურის მუშაკები სისტემატურად ახდენენ მეცნიერულ დაკვირვებებს და ცდებს ჭიათურის მარგანეცის მადნის გაუხვების ახალი ტექნოლოგიის მისაგნებად და ამის შესაბამისად ახალი კონსტრუქციის გამაუხვებელი მანქანების გასამზადებლად და დასანერგავად. წელს უკვე გამოვცადეთ და სტალინის სახელობის გამაუხვებელ ფაბრიკაში დავნერგეთ ახალი ტიპის სალექი მანქანა მოძრავი ცხრილით. ამ მანქანის დამზადება უკვე ათვისებულია ჭიათურაში.

დღემდე არ იყო შესწავლილი მარგანეცის წმინდა ფრაქციების (ფხვიერი მადნის) გაუხვების წესი. ამჟამად უკვე მიმდინარეობს ნახევრადსამრეწველო დანადგარებზე ფლოტაციის წესით მარგანეცის საცდელი გაუხვება. პეროქსიდების გამაუხვებელ ფაბრიკაში დადგმულია და წმინდა ფრაქციების გაუხვებაზე მუშაობს ელექტრომაგნიტური სეპარატორი. როგორც ფლოტაციის, ისე ელექტრომაგნიტური სეპარატორის მუშაობა გვიჩვენებს, რომ ჩვენ მივაგენით მარგანეცის წმინდა ფრაქციების გაუხვებისა და ამოკრეფის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ მეთოდს.

მიმდინარე და შემდგომი წლებისათვის დასახულია ყველა გამაუხვებელ ფაბრიკაში ჩვენ მიერ ახლად დანერგილი და ათვისებული სალექი მანქანის გამოყენება, აგრეთვე წმინდა ფრაქციების მადნის გაუხვებისათვის ელექტრომაგნიტური სეპარატორების დადგმა. მიმდინარე წლის მეორე ნახევარში გადაწყვეტილი გვაქვს პეროქსიდების გამაუხვებელ ფაბრიკაში აშენდეს მარგანეცის მძიმე სითხეებში გაუხვების საამქრო. მძიმე სითხეებში მარგანეცის გაუხვებისათვის შარშან ლენინგრადში ჩატარდა საცდელი სამუშაოები დარკვეთის ზეგანის მადანზე. მიღებული შედეგებით დასტურდება, რომ მძიმე სითხეებში მარგანეცის გაუხვება შესაძლოა დღემდე არსებული გაუხვების მეთოდებიდან ყველაზე უფრო ეკონომიური და მისაღები გახდეს.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ინჟინერ-ტექნიკოსთა მოვალეობაა შეიმუშაონ და დაადგინონ მადნის გაუხვების ისეთი მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს პირველი ხარისხის მარგანეცის გამოსავლის გადიდებას, დანაკარგების მაქსიმალურად შემცირებას და ტექნოლოგიური პროცესის ისე გაუმჯობესებას, რომ შესაძლებელი გახდეს მუშათა შრომის ნაყოფიერება და გაუმჯობესდეს შრომის პირობები. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის მთელი ენერგიით იბრძვიან მარგანეცის ტრესტის ინჟინერ-ტექნიკოსები.

შ. შეყლაშვილი

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველი.

საჭიროა ტექნიკური პროპაგანდის კაბინეტი

ჭიათურაში მრავალი ათასი მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაობს. მათ შორის არიან გამომგონებლები, რაციონალიზატორები, სოციალისტური შრომის ნოვატორები. სამწუხაროდ, მათთან მუშაობა თითქმის მიტოვებულია. რაციონალიზატორები იშვიათად ხვდებიან ერთმანეთს. ამის გამო მათ შორის გამოცდილებათა გაზიარება არ ხდება. იშვიათად იწვევენ რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების თათბირებს.

საჭიროა ჭიათურაში მოეწყოს ტექნიკური პროპაგანდის კაბინეტი, სადაც უნდა ჩამოყალიბდეს საკონსულტაციო ბიურო. ამ კაბინეტში შეიძლება მოვაწყოთ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ნამუშევრების შემოწმება, მოდელებისა და ნახაზების გამოფენა, საუბრები და ლექციები საბჭოთა ტექნიკის უახლეს მიღწევათა შესახებ.

ეს იქნება რაციონალიზატორების დიდი დახმარება.

შ. გუხრაშვილი

მექანიკოსი-რაციონალიზატორი

მოწინავე ჭიათურელი სტახანოველები: მარცხნიდან მარჯვნივ — უშანგი მაჭავარიანი, პავლე მიროტაძე (ორჯონიკიძის სახელობის მაღარო), არსენ ძინძიბაძე, სერგო ოთინაშვილი (სტალინის სახელობის მაღარო), კალენიკე ღვთაძე (დიმიტროვის სახელობის მაღარო).

ჩვენი მიღწევები და ამოცანები

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობამ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს დაუსახა სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი, მძლავრი აღმავლობის გაშლილი საბრძოლო პროგრამა. ამ პროგრამის შესრულების უზრუნველყოფა ყოველი ბოლშევიკის, ყოველი მშრომელის მოვალეობაა, პატრიოტული ღირსების საქმეა.

ყრილობის მიერ დასახულ დიად ამოცანათა შესრულებაში ჭიათურელ ბოლშევიკებს სერიოზული როლი აქვთ დაკისრებული, რადგან მათ მუშაობა უხდებათ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან უბანზე, როგორიც არის ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XIV ყრილობაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ „მარგანეცის მრეწველობა კვლავ წარმოადგენს საქართველოს სახალხო ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად დარგს“ და რომ წელს ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა „მნიშვნელოვნად უნდა გაადიდოს მადნის გამოშვება, ხოლო 1950 წელს თითქმის 70 პროცენტით გაზარდოს იგი. ეს სერიოზული ამოცანაა და მის გადასაწყვეტად საჭიროა ჭიათურის მარგანეცის ტრესტისა და მისი მაღაროების მთელი ძალებისა და შესაძლებლობის მობილიზაცია“.

ჭიათურელი ბოლშევიკები დიდი ხალისითა და მონდომებით შეუდგნენ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლას.

საქმე იმით დავიწყეთ, რომ შევისწავლეთ, თუ რამდენად მზად არის ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად წარმოების თვითეული უბანი, შევეცადეთ ჩაეწვდომოდით წარმოების თავისებურებათა სიღრმეს, ამის მიხედვით დავამუშავეთ პრაქტიკული ხასიათის ორგანიზაციული ღონისძიებანი და შევუდექით მათს განხორციელებას. ამის შედეგად გასულ წელთან შედარებით ჭიათურაში 14,2 პროცენტით გაიზარდა პირველხარისხოვანი მადნის გამოშვება და ამით 20,7 პროცენტით გადავჭარბეთ ომამდელ საშუალო კვარტალურ დონეს.

საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა მუშაობამ საუკეთესო შედეგი მოგვცა. როგორც ტრესტმა, ისე მაღაროთა და გამაუხვებელ ფაბრიკათა კოლექტივებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მუშაობა. ეს შესამჩნევი გახდა პირველ კვარტალშივე, ხოლო უფრო მეტად მეორე და მესამე კვარტალის პირველ ორ თვეში. მარგანეცის ტრესტმა მადნის ამოღების 8 თვის გეგმა ვადამდე ერთი კვირით ადრე და საგრძნობი გადაჭარბებით შესასრულა. თუ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგებს შევადარებთ 1948 წლის პირველ ნახევართან, აღმოჩნდება, რომ წელს მადნის ამოღება 23,7 პროცენტით არის გადიდებული. განსაკუთრებით კარგად და მაღალნაყოფიერად იმუშავეს ლენინის, სტალინის და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა (დირექტორები: ინჟინერები ა. ფხალაძე, ლ. გოშხეთელიანი და ა. მოდებაძე).

მადნის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო დავალების შესრულებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმის მაღალხარისხოვნად განაღდებას. ჭიათურის მაღაროელებმა აქაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა ტრესტმა 6 თვეში 122 პროცენტით შეასრულა, რაც უზრუნველყოფს მაღაროების შემდგომ ნორმალურ მუშაობას. ასევე წარმატებით მუშაობდა მარგანეცის ტრესტი ივლისსა და აგვისტოში.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ შრომატევადი პროცესების მექანიზაციას. ტრესტის ყველა მაღაროში მთლიანად მექანიზებულია მადნის ბურღვისა და მონგრევის პროცესი. სავსებით მექანიზებულია გამოზიდვა. ორ მაღაროში ნაწილობრივ მექანიზებულია აწმენდის მძიმე შრომატევადი პროცესებიც. მექანიზმებით მადნის, დატვირთვა გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით წელს მეორე კვარტალში გადიდებულია 120 პროცენტით, ხოლო 6 თვეში—95,6 პროცენტით. უკეთესი მაჩვენებლებია მოსალოდნელი მესამე კვარტალის ბოლოსთვის, მაგრამ ტრესტის მასშტაბით დატვირთვის მექანიზაცია ჯერჯერობით საერთო დატვირთვის მოცულობასთან შედარებით მაინც უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა წარმოებაში ახალი ტექნიკის გამდიდრებულ დანერგვა, მექანიზმების ნაყოფიერების განუხრელი ზრდა. ეს მოითხოვს მექანიზმებზე მომუშავე კადრების შერჩევა-მომზადების საქმის უკეთესად დაყენებას, მექანიზმების მოვლა-პატრონობის გაძლიერებას და მათი სრული ნაყოფიერებით ათვისებისათვის სათანადო პირობების შექმნას.

მაღაროელთა შორის ფართოდაა გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება გეგმების გადაჭარბებით შესრულების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მექანიზმების ნაყოფიერების მაქსიმალურად გადიდებისა და წარმოების კულტურის ამაღლებისათვის ბრძოლაში წარმატებათა მისაღწევად. სოციალისტურმა შეჯიბრებამ საუკეთესო შედეგი მოგვცა — მრავალმა მაღაროელმა შრომითი მამაცობის საუკეთესო ნიმუშები გვიჩვენა, დიდი ხანია შეასრულა თავისი ხუთწლიანი გეგმა და ახლა მომავალი ხუთწლედის ანგარიშში იძლევა მარგანეცს.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ამწმენდმა სამგზის ორდენოსანმა პ. მიროტაძემ ახალი ხუთწლედის დასაწყისიდან 15 აგვისტომდე გამოიღო 39.718 ტონა მარგანეცი და ამ ხნის განმავლობაში 285 ათას ძანეთამდე გამოიმუშავა. ეს წარჩინებული სტახანოველი დღიურ ნორმას 300-350 პროცენტით ასრულებს. საინტერესოა ერთი შედარება: ქართველი ხალხის საზიზღარი მტრების — მენშევიკების ბატონობისას, ჭიათურაში 1920 წლის პირველ ნახევარში გამოღებულ იქნა სულ 6.000 ტონა მარგანეცი. ამაზე გაცილებით მეტი მადანი მიმდინარე წლის განვლილ რვა თვეში გამოიღო მარტო ერთმა სტახანოველმა კომუნისტმა პ. მიროტაძემ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სტახანოველმა ამწმენდმა კ. ღავთაძემ ახალი ხუთწლედის დასაწყისიდან დღემდე ქვეყანას მისცა 28 ათასამდე ტონა მარგანეცი. მისი თვიური ხელფასი 6 ათას მანეთს აჭარბებს. ასეთი სტახანოველები ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში მრავალია.

ჭიათურელი მაღაროელები კვლავ ენთუზიაზმით განაგრძობენ ტრადიციულ შეჯიბრებას მომძე ნიკოპოლელ მაღაროელებთან. ისინი სისტემატურად — ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად უზიარებენ ერთიმეორეს თავიანთი მუშაობის შედეგებს და გამოცდილებას. ნიკოპოლელი და ჭიათურელი მაღაროელების ეს მჭიდრო, ძმური ურთიერთობა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობის შესანიშნავი დემონსტრაციაა.

ყრილობისშემდგომ პერიოდში ჭიათურელმა ბოლშევიკებმა მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვეს. ამ მიღწევათა შორის აღსანიშნავია საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარების შესახებ ნაკისრი ვალდებულების წარმატებით განაღდება (მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ბრუნვის დრო შემცირებულია 14,5 დღით, სახელმწიფოს გაუთავისუფლდა 6.400.000 მანეთი, მაშინ როცა მთელი წლის განმავლობაში ნაკისრი გვქონდა 10 მილიონი მანეთის განთავისუფლება), მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრად გაუმჯობესება, ჭიათურის საქალაქო მშენებლობაში გარდატეხის მიღწევა და სხვ.

პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი ყრილობის მუშაობის დამთავრებისთანავე შეუდგა მაღაროელთა საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლას და სათანადო ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელებას. ამ მიმართულებით გაშლილმა მუშაობამ, რომელშიც აქტიურად ჩაბმულ იქნენ მარგანეცის ტრესტისა და მაღაროების ხელმძღვანელები, კარგი შედეგი მოგვცა. მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებამ გამოიწვია მუშათა დიდადობის მკვეთრად შემცირება. მაგრამ იმის თქმა, რომ ამ მხრივ ყველაფერი გავაკეთეთ და მეტის გაკეთება საჭირო არ არის, არ შეიძლება. ნაკლოვანებანი მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების შესაფერის დონეზე დაყენებაში კვლავ გვაქვს და ჩვენი ამოცანაა უახლოეს ხანში შევძლოთ ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია, მთლიანად გამოვიყენოთ ამ მხრივ არსებული შესაძლებლობანი.

დიდი სამუშაოებია ახლა გაჩაღებული ქალაქ ჭიათურის კეთილმოწყობისათვის. ჭიათურელი ბოლშევიკები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გადააქციონ ჭიათურა „კეთილმოწყობილ სამრეწველო ქალაქად, რომელიც უზრუნველყოფს აუცილებელ პირობებს იქ მცხოვრები მუშა-მოსამსახურეებისათვის“ (კ. ჩარკვიანი). წელს ჭიათურაში ახალი საცხოვრებელი სახლების აგებაზე, კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობის სამუშაოთა შესრულებაზე გათვალისწინებულია 10 მილიონი მანეთი. უკვე შევუდექით ქუჩების მოასფალტებას, ვამთავრებთ თეატრის ახალი შენობის აგებას. იგი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მთელ რესპუბლიკაში. შევუდექით სადგურისა და თეატრის მახლობლად ახალი მოედნის მოწყობას, ვაშენებთ ახალ სკვერს, განვაგრძობთ მდინარე ყვირილის მარჯვენა სანაპირო ქუჩის გაყვანას, დავამთავრეთ ხიდის რეკონსტრუქცია. სერიოზული მუშაობაა გაწეული ცენტრალური ქუჩების გასამწვანებლად. მაგრამ ყოველივე ეს ამ საქმის მხოლოდ დასაწყისია. მომავალში ქალაქის კეთილმოწყობისა და გამშვენიერების სამუშაოები კიდევ მეტი მასშტაბით გაიშლება.

ჭიათურის მშრომელთა წარმატებანი პირველ რიგში იმით აიხსნება, რომ უკანასკნელ თვეებში საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ შეძლო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საგრძნობლად გაძლიერება, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მაორგანიზებელი როლის აამაღლება და მათი ბრძოლისუნარიანობის გაზრდა.

ეჭვი არ არის, ჩვენი წარმატებანი კიდევ მეტი იქნებოდა, პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაში რომ არ გვქონოდა ნაკლოვანებანი. ჩვენ მთელი ენერგიით ვიბრძვით ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ჭიათურის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია ყოველივეს გააკეთებს საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით წარმატებით განაგრძობს ბრძოლას მეტი მარგანეცისათვის, ახალი საწარმოო მიღწევებისათვის.

პ. პეტრიაშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი

ჭიათურა გუშინ და დღეს

გადაათვალიერეთ „ივერიის“, „კვალის“, „დროების“ ნომრები, თვალი გადაავლეთ შენიშვნებს ჭიათურაზე, დააკვირდით ადრინდელი ჭიათურის ფოტოდოკუმენტებს და გაეცანით დღევანდელ ჭიათურას. გაგიკვირდებათ, როგორ გამოცვლილა მარგანეცის ქალაქი.

„რომ იცოდეთ სად ატარებენ ღამეებს ჭიათურელი მუშები, ან როგორ იკვებებიან ისინი, რამდენ საათს მუშაობენ დღე-ღამეში, გაოცდებით. მაგრამ თქვენთვის წარმოუდგენელია ის ბნელი, ნესტიანი, მიწური ქოხმახები, რომლებიც ყველაფერს ჰგავს, გარდა ადამიანის სადგომისა. აი რაში ცხოვრობენ ჭიათურაში მომუშავენი! როცა უყურებ აქ ცხოვრებას, ძალაუნებურად გაიფიქრებ, რომ ადამიანის პიროვნებას ასე მდაბლად არსად არ უნდა აფასებდნენ, როგორც ჭიათურის მადნებში“—წერდა „კვალი“ 1902 წელს.

უფრო ადრე „ივერია“ გულისტკივილით იუწყებოდა: „საკვირაო სკოლამ მხოლოდ წარსულ სამოსწავლო წლის დამლევამდის ძლივს გასტანა... სკოლაში სწავლა შეჩერებულია“. იქვე ვკითხულობთ: „უთუოდ საჭიროა თავლები დააშორონ ბაზარს, თორემ ჰაერი ისე იწამლება, რომ ათასგვარი სენი აუცილებელია“.

„ყველაფრით შემკულ ჭიათურის საავადმყოფოს, — დაცინვით წერს „კვალი“,—ექიმიც თავისებური და ჰეტად ახირებული ჰყოლია: თუ ერთ დღეს მოვიდა საავადმყოფოში, უეჭველად უნდა იცოდეთ, რომ ორ დღეს აღარ მიეკარება, „უგინდ ამით ვინმე სიცოცხლესაც გამოესალმოს“.

„არ ებრალებათ არც ადამიანი და არც პირუტყვი. მადანს ეზიდებიან ციცაბო დადმართზე, ვიწრო ბილიკებით, დატვირთული ცხენებითა და ურმებით. ადამიანისა და პირუტყვის სიცოცხლე ამკარად განსაცდელშია, თუ რომელიმე წაბორძიკდა და დაეცა, დაღუპვისაგან მას ვერაფერი იხსნის“,—წერს მარგანეცის ზიდვის მაშინდელი მნახველი.

ასეთი იყო ძველად ჭიათურა.

ჭიათურას ახსოვს აქ უცხოელ და ადგილობრივ კაპიტალისტთა პარპაში. ისინი უმოწყალოდ ყველფდნენ მაღაროელებს.

ჭიათურას ახსოვს 1905 წლის ბობოქარი და ქარიშხლიანი დღეები, ახსოვს რევოლუციური აზვირთება, ახსოვს დიდი სტალინის იმედიანი და მგზნებარე სიტყვები, ბრძოლისაკენ მომწოდებელი სტალინური პროკლამაციების სიტყვები:

„დიახ, ამხანაგებო! ჩვენი მუშური, დასერილ-დაკოჭრებული ხელებით დაილეწება მონობის ბორკილები. ჩვენი მედგარი იერიშით დაიმსხვრევა ხალხის ძვლებზე აგებული ტახტი მეფისა. გამწკრივებული მუშათა რაზმი, ბრძოლის წყურვილით გატაცებული, საზიზღარი თვითმპყრობელობის ნანგრევებზე თავისუფლების დროშას აიფრიალებს“...

ჭიათურას ახსოვს უბადრუკი მენშევიკების ბატონობის პერიოდი, როცა ყველაფერთან ერთად, მარგანეცის მრეწველობაც ჩაკვდა, გაჩანაგდა...

მაგრამ დაიწყო განახლების ხანა—საბჭოთა ხელისუფლების წლები. დაიწყო მარგანეცის ქალაქის განახლებაც. რამდენიმე წლის განმავლობაში ჭიათურაში კიდევ დაძრწოდნენ ამერიკელი კონცესიონერები. ამერიკელ იანკებს და მადაგახსნილ მტაცებლებს მოგებისა და დოლარების მეტი არაფერი აინტერესებდათ. ისინი ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი მარგანეცი გაეტაცნათ.

მარგანეცის მრეწველობა კვლავ დაიბრუნა საბჭოთა ხალხმა. დაიწყო ჭიათურის ნამდვილი აღმავლობა. ინდუსტრიული ჭიათურის აღორძინებასა და განახლებას, მის ნამდვილ სახეცვლას, როგორც ყველაფერს საქართველოში, თავისი მადლიანი მარჯვენა დაატყო ლავრენტი ბერიამ. ჭიათურა მძლავრ ინდუსტრიულ კერად იქცა, სტალინურმა ხუთწლედებმა ახალი ტექნიკით აღჭურვეს იგი. გამოიცვალა მაღაროელთა ქალაქი.

ჭიათურა დღეს ნამდვილი ინდუსტრიული ქალაქის სისხლსავსე ცხოვრებით სუნთქავს. მაღაროებში ახალი ტექნიკა დაინერგა, ჩალვადრები და მამაპაპური ურმები საჰაერო-საბაგირო გზებმა და ავტომანქანებმა შეცვალეს. აშენდა ახალი საცხოვრებელი სახლები, კლუბები, სკოლები, საბავშვო ბაღები, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი...

დავათვალიეროთ ქალაქის მშენებლობანი. ყურადღებას იპყრობს თეატრის ახალი შენობა. იგი რესპუბლიკაში ერთ-ერთი ულამაზესი ნაგებობა იქნება. მის საუცხოო ფასადს „გამარჯვების“ მონუმენტი და დიდი მგოსნის აკაკის ძეგლი დაამშვენებს. თეატრის წინ გადაიშლება ვრცელი მოედანი. მოედანზე აღმართავენ დიდი სტალინის მონუმენტს, რომლის სიმაღლე 13 მეტრი იქნება. მონუმენტის პირდაპირ კეთდება მარპარილოს დიდი სტენდი წარჩინებულ ადამიანთა სურათების გამოსაფენად. აქვე გაშენდება ბაღი მოზრდილი აუზითა და შადრევნებით.

წარმოებს ქუჩების მოასფალტება. ნინოშვილის ქუჩაზე გაშენდა საუცხოო ხეივანი, სანაპირო ბაღს და ბევრ ქუჩას გაუკეთდა ბეტონის მოაჯირი, საფეძველიანი რეკონსტრუქცია განიცადა მთავარმა ხიდმა, მოეწყო კომკავშირული ხეივანი, ქალაქის ცენტრში შენდება 70-ბინიანი ოთხსართულიანი სახლი.

დიდი შრომითი აღმავლობაა ჭიათურის მაღაროებში. სამგზის ორდენოსანმა სტახანოველმა პ. მიროტაძემ ცვლაში 50 ტონა მარგანეცი გამოიღო და დავალება 350 პროცენტით შეასრულა. სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევენ ორდენოსნები კ. ღავთაძე, პ. ბოყოველი, ა. ძინძიბაძე, ვ. ბუღაძე, ს. ოთინაშვილი, სხვა მოწინავე მაღაროელები. ინჟინერი კ. ჯინჭველაშვილი მადნის გაუხვების ტექნოლოგიური პროცესის შეცვლაზე მუშაობს, ინჟინერ-კონსტრუქტორი გ. ფანცულაია ახალ გამოგონებაზე ფიქრობს, ინჟინერ-მექანიკოსი ვ. ციცვიძე ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხზე სადისერტაციო შრომას ამზადებს...

ასეთია ჭიათურა დღეს ერთი თვალის გადავლებით. მაგრამ ხვალ იგი კიდევ უფრო ლამაზი და მიმზიდველი იქნება. ჭიათურა იქცევა კეთილმოწყობილ სამრეწველო ქალაქად.

პ. ჭიოკაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად

მარგანეცის მაღაროების ბევრი მუშა შორიდან დადის სამუშაოზე. ზოგ მათგანს დღეში 10-15 კილომეტრის გავლა უხდება. ეს, ბუნებრივია, მოქმედებს მუშის შრომის ნაყოფიერებაზე.

შარშან დავაყენეთ საკითხი მუშების გადასაყვანად ავტოტრანსპორტის გამოყოფის შესახებ. ტრესტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მხოლოდ ორ კვირას ატარა მაღაროებამდე მუშები, ისიც გამოსასვლელ დღეებში, ხოლო შემდეგ ავტომობილთა მიმოსვლა კვლავ შეწყდა.

ტრესტს ამჟამად საშუალება აქვს, რომ მუშების გადაყვანა ბინიდან მაღაროებამდე და უკან, მოაწესრიგოს.

პ. მიროტაძე

სამგზის ორდენოსანი სტახანოველი

ახალგაზრდობის მეორე მსოფლიო კონგრესი

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელის ნ. ა. მიხაილოვის გამოსვლა

ბუდაპეშტი, 5 სექტემბერი. (საკადესი). ახალგაზრდობის მეორე მსოფლიო კონგრესის გუშინდელ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციის ხელმძღვანელმა ნ. ა. მიხაილოვმა.

ამხ. მიხაილოვმა დელეგატებს, და მათი სახით მთელი მსოფლიოს პროგრესულ ახალგაზრდობას, გადასცა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის საბრძოლო სალამი და განაცხადა:

საბჭოთა ხალხის მტრები, მშვიდობისა და დემოკრატიის მტრები — ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტები და მათი ხელშემწყობნი თავისი საზიზღარი მიზნებით სრულიად დაუჯერებელ სიცრუესა და ცილისწამებას ავრცელებენ საბჭოთა კავშირის შესახებ და ცდილობენ აგრესიულ სახელმწიფოდ წარმოადგინონ ის.

საბედნიეროდ, დღითიდღე სულ უფრო ნაკლები ხდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც სჯეროდეთ ასეთი სიცრუე და ცილისწამება. ფართო მასებმა, მილიონობით პროგრესულმა ადამიანმა კარგად იციან, რომ საბჭოთა კავშირი ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ყველაზე ერთგული, ყველაზე გულწრფელი და ყველაზე თანმიმდევრული მებრძოლია. საბჭოთა სახელმწიფო, რომელსაც მეთაურობს მშრომელთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი, მშვიდობისა და დემოკრატიის სიმტკიცე ბურჯი, მთელი კაცობრობის ჩიბარალდანი და იმედია. ამის მიჩქმალვა არ შეიძლება არავითარი სიცრუითა და ცილისწამებით.

ამხ. მიხაილოვი დაწვრილებით ლაპარაკობს საბჭოთა ხალხისა და მისი ახალგაზრდობის შრომითს გმირობაზე. სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სტალინური ხუთწლიანი გეგმა დასახულ ვადამდე სრულდება.

ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ახალგაზრდობის წრიდან გამოვიდა ახალი შესანიშნავი პლეადა წარმოვაზის ნოვატორებისა, რომელნიც ცდილობენ მოიპოვონ ისეთი გამარჯვება, რაც საშუალებას მოგვცემს მრეწველობის ბევრ დარგში შევცვალოთ და გავაუმჯობესოთ წარმოების ტექნოლოგია, უკეთ მოვაწყოთ ადამიანთა შრომა.

ამხ. მიხაილოვი ასახელებს წარმოების ნოვატორებს — ხარატ ბორტეკევიჩს, მუშებს როენევასა და კონონენკოს, მეშახტე კუზნეცოვს, ნავთის მუშაკ კაფაროვსა და სხვებს.

ამხ. მიხაილოვი ლაპარაკობს სოფლის ახალგაზრდობაზე, რომელიც თავისი შრომითი მაგალითით მუშა ახალგაზრდობას არ ჩამორჩება. სოციალისტური შრომის გმირთა შორის, რომელთაც ეს წოდება მიენიჭათ სოფლის მეურნეობის დარგში დამსახურებისათვის, 800-ზე მეტი ჰაბუკი და ქალიშვილია. თავდადებული შრომისათვის ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენები დაჯილდოებულია 8 ათასი ახალგაზრდა კოლმეურნე.

საბჭოთა კავშირში 34 მილიონამდე კაცი სწავლობს დაწყებითს, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში. წელს ჩვენი ქვეყანა ყველგან შეუდგა საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი სწავლების განხორციელებას. უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების კონტინგენტმა უკვე 1946 წელს გადააჭარბა ომამდელ დონეს და უმაღლეს სასწავლებელთა ომამდელი ქსელის აღდგენა ძირითადად დამთავრებული იყო. ახლა უმაღლეს სასწავლებლებში 1 მილიონზე მეტი სტუდენტი სწავლობს. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან მარტო 1949 წელს სახალხო განათლებისათვის გაეცა 60 მილიარდზე მეტი მანეთი.

საბჭოთა ახალგაზრდობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ომის წლებში მოწყობილ სალამოს სკოლებს. ამ სკოლებში 300 ათასზე მეტმა ახალგაზრდა ფუშამ მიიღო შვიდწლიანი და საშუალო განათლება.

სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზეა 771,969 ჰაბუკი და ქალიშვილი, რომელიც სახელოსნო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში სწავლობენ. რვა წელიწადში სახელოსნო სასწავლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სკოლები დაამთავრა 4,5 მილიონზე მეტმა ჰაბუკმა და ქალიშვილმა.

საბჭოთა სახელმწიფო განუწყვეტლივ ზრუნავს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ახალგაზრდობის აღზრდასა და სწავლებაში. საბჭოთა კავშირში არის კულტურის 110 ათასზე მეტი სასახლე და სახლი, კლუბი და ეროს-სამკითხველო, 60 ათასზე მეტი ბიბლიოთეკა 132 მილიონ ცალზე მეტი წიგნის ფონდით, 800-ზე მეტი თეატრი. ყოველივე ამით ფართოდ სარგებლობს საბჭოთა ახალგაზრდობა.

საბჭოთა მთავრობა, კომუნისტური პარტია და პირადად ამხანაგი სტალინი, ამბობს ამხ. მიხაილოვი, დიდად აფასებენ საბჭოთა ახალგაზრდობის შრომას. ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ ახალგაზრდობისათვის, მისი განათლებისა და აღზრდისათვის, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. სახელმწიფო ბიუჯეტით სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის წელს ასიგნებულია 119,2 მილიარდი მანეთი, ე. ი. 12,9 პროცენტით მეტი, ვიდრე 1948 წელს. ასიგნებანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე საერთო ბიუჯეტის 34,8 პროცენტს შეადგენენ.

მოგაგონებთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1948 წელს ასიგნებანი განათლებისათვის შეადგენენ 1,65 პროცენტს, ხოლო შეიარაღებული ძალებისათვის — 32 პროცენტს; დიდ ბრიტანეთში შესაბამისად — 5,7 პროცენტსა და 25 პროცენტს; საფრანგეთში — 6 პროცენტსა და 32 პროცენტს. ამ მონაცემებით ერთხელ კიდევ მტკიცდება, თუ ვინ ეწევა მშვიდობის პოლიტიკას და ვინ ეწევა ომის პოლიტიკას. ინგლისელ - ამერიკელ რეაქციონერებისა და მათი ლაქიების ვერაფითარი ცრუ ეკვილბრისტიკა ვერ დამალავს ამ სამართლეს.

საბჭოთა სახელმწიფო, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყოველწლიურად ასობით მილიონ მანეთს ხარჯავენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის, სასპორტო ნაგებობათა შენებლობისა და აღდგენის, სასპორტო ინვენტარის დამზადების, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტებისა და ტექნიკუმების, სასპორტო სკოლების შენახვისათვის. ახალგაზრდობის სპორტული ოსტატობის სრულყოფისათვის შექმნილია 700-ზე მეტი სამავშვო სასპორტო სკოლა და 150-ზე მეტი ახალგაზრდობის სასპორტო სკოლა.

საბჭოთა სპორტსმენებმა წელს 113 ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. ამას წინათ დამთავრებულ სტუდენტობის საერთაშორისო თამაშებში საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს 187 მედალი, აქედან 118 ოქროსი, 42—ვერცხლისა და 30 — ბრინჯაოსი.

სპორტი საბჭოთა ქვეყანაში ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხოა.

სოციალისტური სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას. მარტო წელს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში 2 მილიონზე მეტი კაცი ისვენებდა და მკურნალობდა. შვებულების, ავადმყოფობის გამო დახმარების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო საგზურების მიღებისას ახალგაზრდა მუშები არა მარტო ასაკოვანი მუშების თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში უპირატესობაც აქვთ.

საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთი კეთილშობილური ტრადიციაა საყოველთაო-სახალხო ზრუნვა ბავშვებისათვის. 1948 წელს 4 მილიონზე მეტმა ბავშვმა გაატარა ზაფხული პიონერთა და ტურისტთა ბანაკებში, სატყეო სკოლებში, გამაჯანსაღებელ მოედნებზე.

საბჭოთა ხალხი სიამაყით უყურებს სოციალიზმის ქვეყნის ახალგაზრდა თაობას სტალინურ თაობას. საბჭოთა ახალგაზრდობა მცოდნე, კულტურული, მაღალიდეური ახალგაზრდობაა, დიდი გეგმებისა და შემოქმედებითი განწყობილების მქონე. საბჭოთა ახალგაზრდობას მტკიცედ სწამს ხვალინდელი დღე და გაბედულად მიდის მასკენ. საბჭოთა ჰაბუკები და ქალიშვილები გამსჭვალული არიან საბჭოთა პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობით და ღრმა სიყვარულით დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი.

საარსებო დონის განუწყვეტელ დაცემა, შიმშილობისა და უმუშევრობის ტრაგედია, ადამიანის პიროვნების დამცირება, ახალი ომის გაფურჩქვნა, აღვარხსნილი პროპაგანდა — ასეთია სურათი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ნიღაბი ჩამოვგლიჯოთ დემოკრატიული ახალგაზრდობის ერთიანობის გამთიშველთ

ლაპარაკობს რა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საქმიანობაზე, ამხ. მიხაილოვი აღნიშნავს ფედერაციის მიღწევებს, ახალგაზრდობაში მისი ავტორიტეტის შემდგომ გაძლიერებას, დემოკრატიული ახალგაზრდობის მოძრაობის უდიდეს ზრდას. საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის წარმატებანი, ამბობს ოვი, მიღწეულია სასტიკი, შეუპოვარი ბრძოლით დემოკრატიული ახალგაზრდობის მტრების წინააღმდეგ. ყველა ჯურის გამთიშველია წინააღმდეგ, რომლებიც წარმოადგენენ ინგლის-ამერიკის რეაქციის აგენტურას ახალგაზრდობის რიგებში.

ამხ. მიხაილოვი მოაგონებს სხდომას, რომ ახალგაზრდობის პირველ მსოფლიო კონგრესზევე იყო ცდები ყოველნაირად შეეშალათ ხელი დემოკრატიული ახალგაზრდობის ერთიანობის განმტკიცებისათვის, ძირი გამოეთხარათ მისთვის. ინგლის-ამერიკის რეაქციის მიერ ინსპირირებული ეს ცდები დღესაც გრძელდება. ცდალათად, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია, ეგრეთ წოდებულმა ახალგაზრდა მემარჯვენე სოციალისტებმა გადაწყვიტეს შექმნან ახალგაზრდა სოციალისტთა საერთაშორისო კავშირი თავისი ცენტრით. სოციალისტური ახალგაზრდობის ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი დიდი ხანია ტიკინად იქცა რეაქციონერთა ხელში და ოდნავადაც არ გამოხატავს ახალგაზრდობის ნამდვილ ინტერესებს. სოციალისტური ახალგაზრდობის საერთაშორისო ცენტრის შექმნის ცდებს, როგორც ცნობილია, წარუყვარდეს თავისი სამშობლო, იყოს თავისი ხალხის ერთგული, სურდეს მისი თავისუფლება, ყველაფერს აკეთებდეს იმისთვის, რომ ხალხი თავისუფალი და ბედნიერი იყოს — ეს ყველა პატიოსანი ადამიანის უმაღლესი მოვალეობაა, ახალგაზრდა მოქალაქეთა მოვალეობაა.

ახალგაზრდობა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას რომ ჩამოშორონ, რეაქციონერები ქადაგებენ კოსმოპოლიტიზმის საზიზღარ იდეებს, სამშობლოს, ხალხის ინტერესების ღალატის იდეებს. იმისათვის, რომ ახალგაზრდობა ჩამოშორონ თავისი უფლებებისათვის ბრძოლას, იმისათვის, რომ აღკვეთონ ახალგაზრდობის ცდები — ბრძოლით მიაღწიოს თავისი მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახალგაზრდობის რეაქციონერი ლიდერები და ახალგაზრდობის ანტადემოკრატიული ორგანიზაციები ინგლისელ-ამერიკელი რეაქციონერების კარნახით ეწევიან ომის, როგორც ყოველგვარი უბედურებისაგან ხსნის, პროპაგანდას, აღვივებენ ომის ისტერიას. აგულიანებენ ახალგაზრდობას არმიაში შესასვლელად.

ახალგაზრდობა, თავისი ქვეყნების მთელ ხალხთან ერთად, უნდა გამოვიდეს მოწინავე კულტურის დასაცავად, უნდა გამოვიდეს ეროვნული მოწინავე ხელოვნებისა და ლიტერატურის დასაცავად, მთელი ძალებით იბრძოლოს ომის წინააღმდეგ, რომ ამერიკელმა იმპერიალისტებმა სულიერად დაიმონონ მისი ხალხი.

ინგლის-ამერიკის რეაქცია—აი ახალგაზრდობის მთავარი მტერი

ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები და რეაქციონერები ცდილობენ გავლენა მოახდინონ ახალგაზრდობაზე ცრუ პროპაგანდის გზითაც, პრესის, რადიოს, ლიტერატურისა და ხელოვნების საშუალებებით ახალგაზრდობის მორალური და პოლიტიკური გაბრწყნის გზით. ეს მოითხოვს, რომ ფედერაციამ მეტი ყურადღება მიაქციოს იდეოლოგიური მუშაობის საკითხება.

პორნოგრაფიული და უხამსი ამერიკული ფილმების, ბულვარული ლიტერატურის მღვრიე ნიაღვარმა გადაიარა არა მარტო ამერიკა, არამედ ევროპა და ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებიც. ამერიკელი იმპერიალისტები მსოფლიოს შხამავენ იდეოლოგიური საწამლავით, მიზნად ისახავენ სულიერად დაიმონონ ხალხები და უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობა. ამერიკელ იმპერიალისტებს სურთ განახორციელონ ხალხთა ეკონომიური და პოლიტიკური დამონების პოლიტიკა ეგრეთ წოდებული მარშალის გეგმის სამუალებით ეს გეგმა ისევე, როგორც ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტი და სხვა „ბლოკები“ და „კავშირები“, არსებითად ახალი ომის ინგლისელ-ამერიკელ გამჩაღებელთა აგრესიული ზრახვების გამოხატულებას წარმოადგენს. ამ საზიზღარი მიზნების სამსახურშია დაყენებული მთელი ის იდეოლოგიური მუშაობაც, რომელსაც ინგლისელ-ამერიკელი რეაქციონერები ახორციელებენ.

უყვარდეს თავისი სამშობლო, იყოს თავისი ხალხის ერთგული, სურდეს მისი თავისუფლება, ყველაფერს აკეთებდეს იმისთვის, რომ ხალხი თავისუფალი და ბედნიერი იყოს — ეს ყველა პატიოსანი ადამიანის უმაღლესი მოვალეობაა, ახალგაზრდა მოქალაქეთა მოვალეობაა.

ახალგაზრდობა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას რომ ჩამოშორონ, რეაქციონერები ქადაგებენ კოსმოპოლიტიზმის საზიზღარ იდეებს, სამშობლოს, ხალხის ინტერესების ღალატის იდეებს. იმისათვის, რომ ახალგაზრდობა ჩამოშორონ თავისი უფლებებისათვის ბრძოლას, იმისათვის, რომ აღკვეთონ ახალგაზრდობის ცდები — ბრძოლით მიაღწიოს თავისი მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახალგაზრდობის რეაქციონერი ლიდერები და ახალგაზრდობის ანტადემოკრატიული ორგანიზაციები ინგლისელ-ამერიკელი რეაქციონერების კარნახით ეწევიან ომის, როგორც ყოველგვარი უბედურებისაგან ხსნის, პროპაგანდას, აღვივებენ ომის ისტერიას. აგულიანებენ ახალგაზრდობას არმიაში შესასვლელად.

ახალგაზრდობა, თავისი ქვეყნების მთელ ხალხთან ერთად, უნდა გამოვიდეს მოწინავე კულტურის დასაცავად, უნდა გამოვიდეს ეროვნული მოწინავე ხელოვნებისა და ლიტერატურის დასაცავად, მთელი ძალებით იბრძოლოს ომის წინააღმდეგ, რომ ამერიკელმა იმპერიალისტებმა სულიერად დაიმონონ მისი ხალხი.

საბჭოთა დელეგაციის წინადადებანი

შემდეგ ამხ. მიხაილოვმა საბჭოთა დელეგაციის სახელით წინადადება შეიტანა ყოველმხრივ მოწონებულ იქნას დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ორმსკომის მუშობა ახალგაზრდობის საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის ერთიანობისათვის ბრძოლის მოსაწყობად. საბჭოთა დელეგაცია, თქვა მან, ყოველმხრივ უჭერს მხარს მოხსენების დებულებებს და ორატორთა გამოსვლებს ომის შესახებ, რომ მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის, აგრესიის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იყოს ახალგაზრდობის ყველა ამ ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში, რომლებიც დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციაში შედიან. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომი და ფედერაციაში შემავალი ყველა ორგანიზაცია, ჩვენი აზრით, მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ მშვიდობისათვის მებრძოლ ყველა ორგანიზაციასთან და უწინარეს ყოვლისა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივ კომიტეტთან.

საბჭოთა დელეგაცია წინადადებას იძლევა მოვიწონოთ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებანი და მოვუწოდოთ ახალგაზრდობის ორგანიზაციებს უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ გადაწყვეტილებათა შესრულებაში, მშვიდობის დაცვის ეროვნული, საქალაქო, სასოფლო და სხვა კომიტეტების შექმნასა და მუშაობაში.

საბჭოთა დელეგაცია წინადადებას იძლევა მზარი დავუჭიროთ წინადადებას, რომ 2 ოქტომბერი დაწესდეს მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღედ.

საბჭოთა დელეგაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ კონგრესმა ყოველმხრივ დაუჭიროს მხარი ინდოეთის, ვიეტნამის, ბირმის, მალაიისა და სხვა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების დემოკრატიული ახალგაზრდობის, აგრეთვე თავიანთი ხალხების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რესპუბლიკური ესპანეთისა და დემოკრატიული საბერძნეთის ახალგაზრდობის ბრძოლას. ფედერაცია თავის ყოველდღიურ მუშაობაში მუდმივ დახმარებას უნდა უწევდეს ამ ქვეყნების დემოკრატიულ ახალგაზრდობას.

საბჭოთა დელეგაციის აზრით, კონგრესმა მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას უნდა მოუწოდოს პროტესტი განაცხადოს ომის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინდოეთში, ესპანეთში, საბერძნეთში, სამხრეთ კორეაში, ლათინური ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სდევნიან ახალგაზრდობის დემოკრატიულ ორგანიზაციებს და დემოკრატიული ახალგაზრდობის ლიდერებს. არ შეიძლება შეეფერებოდეთ იმას, რომ ადამიანებს სდევნიან იმისათვის, რომ ისინი იბრძვიან ახალი ომის გაჩაღების წინააღმდეგ, ხალხთა შორის მტრობის წინააღმდეგ. თავი არ უნდა ავიმშვებინოთ რეაქციონერებს, არ შეიძლება დავანებოთ მათ აყეთონ თავიანთი საზიზღარი, ანტიხალხური საქმე.

ფედერაციამ ქანცუხრელად უნდა გაატაროს ეგზი დემოკრატიული ახალგაზრდობის ძალების შეკავშირებისა და მისი ერთიანობის განმტკიცებისა, მასი რელიგიური რწმენის, რასობრივი კუთვნილებისა და ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად. კონგრესმა უნდა დაადასტუროს, რომ საჭიროა კვლავ გატარდეს გეზი დემოკრატიული ახალგაზრდობის ძალთა შემჭიდროებისა და მისი ერთიანობის განმტკიცებისა, მოეუწოდოს ახალგაზრდობის პროგრესულ ორგანიზაციებს ითანამშრომლონ ფედერაციასთან, წევრად შეიდნენ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციაში.

საბჭოთა დელეგაცია საკუთრივ უჭერს მხარს მთელი რიგი დელეგაციების ამ წინადადებას, რომ დაგმობილ იქნას ახალგაზრდა სოციალისტთა საერთაშორისო კავშირის ლიდერების, ახალგაზრდა კათოლიკეთა ორგანიზაციების რეაქციული ხელმძღვანელების, ეგრეთ წოდებული „ახალგაზრდობის მსოფლიო ასამბლეის“ დროებითი კომიტეტის ხელმძღვანელების გამთიშველი, ძირგამომთხრელი საქმიანობა, რაც მიმართულია დემოკრატიული ახალგაზრდობის ძალების შესუსტებისაკენ. ამხ. მიხაილოვს საბჭოთა დელეგაციის სახელით შეაქვს წინადადებანი, რომლებიც მიმართულია კაპიტალისტურ ქვეყნებში ახალგაზრდობის პოლიტიკური და ეკონომიური უფლებების დაცვისაკენ. მას შეაქვს აგრეთვე წინადადებანი ჟურნალ „მსოფლიოს ახალგაზრდობის“ რეგულარული გამოცემის, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის კონსტიტუციის რატიფიკაციის, ფედერაციის ჰიმნისა და ფედერაციის ლოზუნგის შესახებ.

ფედერაციის მუშაობის ოთხი წელი, თქვა დასასრულ ამხ. მიხაილოვმა, დემოკრატიული ძალების ზრდის, დემოკრატიული ახალგაზრდობის რიგების შემჭიდროების წლებია, პროგრესული ახალგაზრდობის ბრძოლის ალიმავლობის წლებია. დღეს ფედერაციას პირნათლად შეუძლია თქვას, რომ მან გაამართლა ათეულ მილიონობით პროგრესული ახალგაზრდობის იმედები და მაღალი ნდობა. შესანიშნავია, რომ ეს წლები დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა კადრების ახალი ზრდითაც ხასიათდება. დღეს ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ათეულ, ასეულ ათასობით მოწინავე აქტივისტი, რომლებიც თავიანთ ძალებს აზვარენ დემოკრატიის საქმეს, პროგრესული კაცობრობის იდეებისადმი კეთილშობილ სამსახურს.

მეორე კონგრესი ცხადყოფს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის წარმატებებს. დღეს ჩვენ დემოკრატიული ახალგაზრდობის ძმურ ოჯახში ვხედავთ გმირული ჩინეთის ახალგაზრდა მებრძოლებს, კორეის პროგრესული ახალგაზრდობის წარმომადგენლებს, „თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის“ კავშირის ახალგაზრდა ანტიფაშისტებს, იაპონიის 3,5 მილიონ ახალგაზრდა დემოკრატს. მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველზე ფედერაციამ შეძლო გაეერთიანებინა დემოკრატიული ახალგაზრდობის ფართო ფრონტი.

საბჭოთა დელეგაცია პირობას აძლევს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის კონგრესს, რომ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა მთელ თავის ძალებს მოახმარს ახალგაზრდობის დემოკრატიული მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების საქმეს, აქტიურად ითანამშრომლებს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციაში და ყოველნაირად დაუჭერს მხარს ფედერაციის ყველა წამოწყებას, რაც მიმართულია მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და ახალგაზრდობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლისაკენ.

საბჭოთა კავშირი სათავეში უდგას მთელი მსოფლიოს დემოკრატიულ ძალებს

მშვიდობის საქმისათვის რომ იბრძვის, ამბობს ამხ. მიხაილოვი, საბჭოთა ხალხი ზრუნავს არა მარტო საკუთარი თავისათვის, არა მარტო თავისი მომავლისათვის, მისთვის მაბლობელი და ძვირფასია ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მისწრაფებანი და ბედი, კაცობრიობის მთელი ცივილიზაციის ბედი.

ინგლის-ამერიკის რეაქცია — აი ახალგაზრდობის მთავარი მტერი. დამთავრდა თუ არა ომი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, იმპერიალიზმმა ბრძოლაში ჩააბა ადამიანები ინდონეზიაში, ვიეტნამში, საბერძნეთში, მალაიაში.

იმპერიალიზმი ულმობელ ექსპლოატაციას უწევს არა მარტო მოზრდილებს, არამედ მოზარდებსა და ბავშვებსაც კი. ბევრ ქვეყანაში, სადაც კაპიტალი ბატონობს, მეწარმეები მუშაობით ქანცს უწყვეტენ 7-8 წლის ბავშვებს და ისეთ საზიზღრობასაც კი სჩადიან, რომ ჰყიდიან ბავშვებს. იმპერიალიზმი, როგორც შავი ჭირი, სპობს ადამიანებს. ინდოეთში ერთ წლამდე ასაკის ყოველი მეოთხე ბავშვი კვდება. იმპერიალიზმი ადამიანებს სამუშაოს ართმევს. მილიონობით ადამიანები უმუშევრობის საშინელ ტანჯვიდან, სწყევლიან კაპიტალიზმს და სულ უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ უკეთესი ცხოვრება ბრძოლით უნდა მოიპოვონ, იმპერიალიზმი ანგრევს ყოველივე ცოცხალს, ახალს, ნამდვილად დემოკრატიულს.

საბჭოთა ხალხს არ ეშინია მუქარისა—საბჭოთა სახელმწიფოს ვერ დაამინებენ ვერც ატომური ბომბით, ვერც დაქირავებულ პროპაგანდისტთა ისტერიული ღმუილით. საბჭოთა ხალხის ძალა, სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება არაერთხელ არის დამტკიცებული. ინგლისელ-ამერიკელმა რეაქციონერებმა ეს არ უნდა დაივიწყონ.

მსოფლიოს ხალხებს ომი არა სურთ. აუარაცხელია ძალები დემოკრატიული ბანაკისა, რომელიც ომის გაჩაღებელთა წინააღმდეგ იბრძვის. დემოკრატიული ბანაკი წლითიწლობით ძლიერდება. იმპერიალიზმის ბანაკის ძალები წლითიწლობით მცირდება.

საბჭოთა კავშირი სათავეში უდგას მთელი მსოფლიოს დემოკრატიულ ძალებს. სოციალისტური სახელმწიფო იმათი პირველი იმედი და პირველი სიხარულია, ვინც იბრძვის ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის, ომის გაჩაღებელთა წინააღმდეგ. მაშასადამე, მშვიდობის საქმის დაცვა ნიშნავს საბჭოთა კავშირთან მთელი დემოკრატიული ძალების მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას. ისეთი ბოროტგანმზრახველი დეზერტირები, როგორიცაა იუგოსლავიის ახალნიღი მთავრობა, რომელმაც დემოკრატიის საქმეს უღალატა და ამკარად გადაბარგდა ანტიიმპერიალისტური ფრონტის ყველაზე ბოროტი მტრების ბანაკში, არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი დემოკრატიული ფრონტის მტრები არიან. დადგება დრო, და ტიტო-რანკოვიჩის პირსისხლიანი ბანდა პასუხს აგებს იუგოსლავიის ხალხთა წინაშე თავის მძიმე დანაშაულობათათვის.

ჩვენს დროში არ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ შეიძლება ამა თუ იმ თავისუფლებისმოყვარე ხალხის, მათ შორის იუგოსლავიის ხალხის, წარმატებით დაცვა რეაქციის აგრესიული, ბნელი ძალებისაგან, თუ არ დაგეყრდნობით დემოკრატიულ ბანაკს, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი.

„ინტერნაციონალისტი ის არის, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ვინც უშინაგნოდ, უყოყმანოდ, რაიმე პირობის წამოუყენებლად არის მზად დაიცვას სსრ კავშირი იმიტომ, რომ სსრ კავშირი მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ბაზაა. ხოლო ამ რევოლუციური მოძრაობის დაცვა. წინ წაწევა შეუძლებელია ისე, თუ არ იცავ სსრ კავშირს. რადგან, ვინც ფიქრობს მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის დაცვას სსრ კავშირის გვერდის აცლით და მის წინააღმდეგ, იგი მიდის რევოლუციის წინააღმდეგ, იგი აუცილებლად მოექცევა რევოლუციის მტრების ბანაკში“.

საბჭოთა დელეგაცია მთელი მსოფლიოს მოწინავე დემოკრატიული ახალგაზრდობის წინაშე აცხადებს, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა მუდამ ღირსეულად შეასრულებს თავის წმიდა, უპირველეს მოვალეობას მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში, მუდამ ითანამშრომლებს ახალგაზრდობის ყოველ ორგანიზაციასთან, რომელიც მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ, დემოკრატიისათვის და ახალგაზრდობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის პოზიციაზე დგას.

ინგლისელ-ამერიკელ ოკუპანტთა ბანდა ბოროტებისა და ანტიხალხური ფანატიზმის ბუნაგია

ინგლისელ-ამერიკელ ოკუპანტთა ბანდა ბოროტებისა და ანტიხალხური ფანატიზმის ბუნაგია.